



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



985/3-113/22 2 04022022

985/3-113/22

04-02-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ჯუანშერ ბურჭულაძე

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

- რამდენად ადაპტირებულია საქართველოში სამხედრო განთლება ქვეყნის გამოწვევებთან და საფრთხეებთან.
- რა დონეზეა საბრძოლო, ფიზიკური და თეორიული მომზადება
- რა ყურადღება ექცევა თეორიულ სწავლებას სამხედროების მომზადების პერიოდში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 1 22 00210956

22.02.2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

თქვენი მიმდინარე წლის 4 თებერვლის N985/3-113/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უწყეტად უზრუნველყოფს სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს უმაღლესი დონის, თანამედროვე სტანდარტებთან შესატყვისი პროფესიული სამხედრო განათლებით, გადამზადებითა და პროფესიული განვითარებით.

პროფესიული სამხედრო განათლება და გადამზადება, მომავალი სამხედროების, ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებისა და დაკისრებული მოვალეობების ქმედითად შესრულების მიზნით, გულისხმობს აკადემიურ განათლებასა და სპეციალიზებულ სწავლებებს. პროფესიული განვითარება კი, შესაბამისი სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების გავლას, რაც პირად შემადგენლობას ეხმარება უკვე განვითარებული უნარების გაუმჯობესებასა და კარიერულ წინსვლაში.

საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ქართული სამხედრო კონტინგენტის ეფექტიან მონაწილეობას სწორედ თანამედროვე და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადი სამხედრო განათლების სისტემა განაპირობებს.

განათლების არსებული და სამომავლო სისტემის რეფორმა ითვალისწინებს საქართველოში თანამედროვე მოთხოვნებთან თავსებადი, მაღალპროფესიული, ბრძოლისუნარიანი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებას, რაც პრიორიტეტად ასახულია თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიულ და კონცეპტუალურ დოკუმენტებშიც.

საგანმანათლებლო კომპონენტსა და გადამზადების პროგრამებზე სამინისტროს სისტემაში პასუხისმგებელია: წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, #7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, საჯარო სამართლის იურიდიული - პირი დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, ხოლო პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თავდაცვის



ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ.

სამინისტროს სისტემაში არსებულ სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში სამხედრო განათლება, რაღა თქმა უნდა, ადაპტირებულია თანამედროვე საფრთხეებთან და გამოწვევებთან. სწორედ ამ მიზნით, სამხედრო განათლების ძირითად ამოცანებს შორისაა: სასწავლო პროგრამების მუდმივი განახლება და სრულყოფა, სასწავლო მეთოდური ბაზის განვითარება აკადემიური პერსონალის, სპეციალისტების და სამხედრო ინსტრუქტორების პროფესიული განვითარების მუდმივი უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარება, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და ორგანიზება (უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული საჯარო მოხელეთათვის), თავდაცვის სისტემის განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, ემსახურება სწორედ იუნკერთა მაღალი დონის, თანამედროვე სამხედრო და სამოქალაქო განათლებას. თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, პარტნიორების დახმარებით, აკადემიამ განავითარა დისტანციური სწავლების (ADL) ცენტრის კონცეფცია და შესაბამისი პლატფორმა. სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს აკადემიის საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აკადემიის ინტერნაციონალიზაციას. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდას, რომლებიც იზიარებენ ეროვნულ და დემოკრატიულ ღირებულებებს და მიზნად ისახავს კადეტების საბაზისო სამხედრო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფას. წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საქმიანობა ეფუძნება ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტებით, ნატო-ს ძირითადი პროგრამებით და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებებით განსაზღვრულ პრიორიტეტებს: საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეებისა და ქვედანაყოფების მომზადება, გადამზადება, შეფასება; „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამისა (PfP) და ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმების ფარგლებში ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა მომზადება. სარდლობა უზრუნველყოფს სამხედრო-სასწავლო დაწესებულებათა ინსტიტუციური ბაზისა და ორგანიზაციული სფეროს განვითარებას, სამხედრო დოქტრინების შემუშავებას, საქართველოს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო სწავლებების და წვრთნების მხარდაჭერასა და მათში მონაწილეობას, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მისაღებად განსაზღვრული ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადება-გადამზადებას.

დაგეგმილია წვრთნებისა და სამხედრო განათლების არსებული სისტემის ტრანსფორმაცია. კერძოდ, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო-საჯარისო ცენტრის (CAC) რეფორმა გვარეობების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაში აპრობირებულ და მიღებულ ე.წ. „სკოლების პრინციპზე“ გადასვლას. რეფორმის ფარგლებში, სამინისტრო გააუმჯობესებს 100-ზე მეტი საწვრთნელი პროგრამის ხარისხს ოფიცრების, სერჟანტებისა და ყველა ტიპის სამხედრო სფეროს სპეციალისტებისთვის.

თავდაცვის ძალების საბრძოლო მომზადებისათვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს

თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომელიც წარმოადგენს აშშ-საქართველოს ერთობლივ წამოწყებას და ხელს უწყობს ქვეითი ბატალიონების სწავლებებთან, წვრთნებსა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნებას. GDRP-ის წარმატებით განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფისა და საფრთხეებზე რეაგირებისთვის.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ (SNGP) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს წარმოადგენს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC). აღნიშნული ცენტრის ძირითად ფუნქციას საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების წვრთნა და შეფასება/სერთიფიცირება, ასევე, ნატო-ს, ორმხრივი და მრავალეროვნული სამხედრო სწავლებების მასპინძლობა და მხარდაჭერა წარმოადგენს. JTEC უზრუნველყოფს პერსონალისა და ქვედანაყოფების გადამზადებას ნატო-ს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. სამინისტრო განაგრძობს JTEC-ის შემადგენლობაში შემავალი საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) განვითარებას. მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს უკუკავშირს და ასევე, საგანმანათლებლო და წვრთნის პროგრამების განახლებასა და დახვეწას. ინოვაციების დანერგვის შედეგად, სამინისტრო გააგრძელებს ნატო-ს, ნატო-ს მოკავშირეების, პარტნიორების, შავი ზღვის და რეგიონული ქვეყნებისთვის უნიკალური პირობებით, რელიეფითა და საცეცხლე შესაძლებლობებით უზრუნველყოფილი საწვრთნელი ბაზის შეთავაზებას.

სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების სხვადასხვა პროგრამებსა და კურსებს („სამხრეთ კავკასია ფართო შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში“; „უსაფრთხოების სექტორის საორიენტაციო პროგრამა“; „ეროვნული უსაფრთხოება რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის კონტექსტში“; „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის სამართლებრივი საფუძვლები“ და სხვა) თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ ცოდნის გაღრმავებისათვის. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც საქართველოში მოვლენილი ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლამ დაარსების დღიდან მიზნად დაისახა ნატო-სთან თავსებადი სასწავლო ციკლისა და ხარისხის მართვის სისტემის ჩამოყალიბება. სკოლაში ეტაპობრივად დაინერგა სასწავლო პროცესების მართვის თანამედროვე ციკლი, რომლის ფარგლებში, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის დონეზე ყოველწლიურად ხორციელდება ტრენინგ საჭიროებების კვლევა. კურსების შემუშავებისა და განვითარების ეტაპზე, სკოლა ითვალისწინებს სექტორის დონეზე იდენტიფიცირებულ საჭიროებებს და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე დინამიკასა და ტენდენციებს.

ნატო-ს სტრატეგიული კომუნიკაციების დახელოვნების ცენტრთან 4 წლიანი მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბებულ სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციების კურსს, ნატო-მ მიანიჭა სერტიფიცირება, სტატუსით - ნატო-ს მიერ შერჩეული (NATO SELECTED). კურსის სერტიფიცირებით, სკოლამ ნატო-ს ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის განაცხადის წარდგენის უფლება მოიპოვა, რასაც 2021 წ. ნოემბერში ნატო-ს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი მოჰყვა. აკრედიტაციის ვიზიტის პირველადი შედეგებით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა სკოლის მიერ აკრედიტაციის მიზნებისთვის შემუშავებულმა და წარგზავნილმა დოკუმენტაციამ, ასევე, სკოლის საქმიანობაში დანერგილმა მთელმა რიგმა პროცესებმა. ნატო-ს ექსპერტთა გუნდის შეფასებით აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად სკოლა ალბათობის უმაღლესი ხარისხით მოიპოვებს ნატო-ს უპირობო ინსტიტუციურ აკრედიტაციას.

საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობა მუდმივად იღებს მონაწილეობას ნატო-ს წევრი თუ პარტნიორი ქვეყნების, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, საზღვარგარეთის სამხედრო სფეროში წამყვან სასწავლო დაწესებულებებში, ორგანიზებულ გრძელვადიან თუ მოკლევადიან სასწავლო, საკარიერო, პროფესიულ პროგრამებსა და გადამზადების კურსებში.

საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადება უწყვეტი პროცესია და წარმოადგენს ქვედანაყოფებისათვის ყოველდღიური ცხოვრების წესს. ქვედანაყოფებში საბრძოლო მომზადება იგეგმება მათ წინაშე დასმული ამოცანების მიხედვით, ხოლო ამოცანები გამომდინარეობს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან და სავარაუდო საფრთხეებიდან.

საბრძოლო მომზადების ორგანიზება ხორციელდება „დაგეგმვა-მომზადება-ჩატარება-შეფასების“ პრინციპით. ქვედანაყოფები ჩართულნი არიან ათეულის, ოცეულის, ასეულის, ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფების და ბრიგადის სამტაბო-სამეთაურო წვრთნებსა და სწავლებებში. ატარებენ კოლექტიურ სწავლებებს, რომელიც მოიცავს ჯგუფურ წვრთნებს და ვარჯიშებს, ასევე სამხედრო მოსამსახურეების პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას ინდივიდუალურ დონეზე. ქვედანაყოფები მიზიდულნი არიან, როგორც ერთობლივ, ასევე საერთაშორისო სწავლებებში. მაღალი საბრძოლო მომზადების დონის მისაღწევად თავდაცვის ძალები გადიან რეალურ პირობებთან მიახლოებულ ეფექტურ და პროდუქტიულ წვრთნებს, რათა მზად იყვნენ გამოწვევების საპასუხოდ მშვიდობიანობისა თუ ომიანობის პერიოდში.

თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები აღჭურვილია უახლესი სპორტული დარბაზებით და ინვენტარით, სადაც სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაიუმჯობესონ ფიზიკური კონდიციებიც.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2021 წელს, უწყებათაშორისი კოორდინაციისა და კომუნიკაციის ფარგლებში, ჩატარდა შემდეგი სწავლებები: მრავალეროვნული სწავლება „Agile Spirit - მტკიცე სული“, მრავალუწყებრივი სწავლება „JMOC TTX“. GDRP-ის ფარგლებში საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისთვის მომზადება გაიარა 9 ბატალიონმა. ქვედანაყოფებმა ასეულისა და ბატალიონის დონეზე, რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, დღისა და ღამის პირობებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი სწავლება გაიარეს. ჩატარდა ოპერატიულ-ტაქტიკური დონის სამეთაურო სამტაბო სწავლებები („ეგრისი2021“, „ბასიანი 2021“), რომელთაგანაც თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სასაზღვრო პოლიციამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა. საქართველოს ეროვნული გვარდიის პირადმა შემადგენლობამ მონაწილეობა მიიღო შს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა (EMS) და აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის (ODC) მიერ დაგეგმილ ერთობლივ სწავლებებში (სწავლება „წყალზე სამაშველო ოპერაციები“, სწავლება „წვრთნის მენეჯმენტი“, „კრიზისზე რეაგირების წინამოსამზადებელი კურსი“). ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების ურთიერთქმედების განვითარების, მზადყოფნის ამაღლების, რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობისა და მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თავდაცვის ძალების ასეულის ზომის ქვედანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპაში აშშ-ის არმიის სარდლობის მიერ დაგეგმილ სწავლებებში („Combined Resolve XV“ და „Saber Guardian 21“). 8/19 ნატო-ს წევრი და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP) ფორმატში მონაწილე ქვეყნების ურთიერთთავსებადობის გაზრდისა და სწრაფი რეაგირების ძალების მოქმედებების დახვეწის მიზნით, ჩატარდა მრავალეროვნული სწავლება „Rapid Trident 2021“. ჩატარდა სამეთაურო-სამტაბო სამმხრივი სწავლება „ETERNITY 2021“, რომლის სცენარი სამშვიდობო ოპერაციებს ემყარება და

ითვალისწინებს კრიზისული სიტუაციის დროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვას. საქართველოში 14 სხვადასხვა ლოკაციაზე ჩატარდა უწყებათაშორისი-სამეთაურო სამტაბო სწავლება „დიდგორი-21“. სწავლების ფარგლებში გაუმჯობესდა და დაიხვეწა საგანგებო და საომარი მოქმედებების დროს უწყებათაშორისი კოორდინაციის პროცედურები. ასევე, „დიდგორის“ ფორმატში, ჩატარდა სწავლებათა ციკლი, სადაც სამტაბო კომპონენტთან ერთად პირველად გათამაშდა საველე-სიტუაციური კომპონენტი, რა დროსაც ტაქტიკურ დონეზე განხორციელდა თავდაცვის ძალებისა და შსს-ს ქვედანაყოფების შერწყმა. საქართველომ პირველად უმასპინძლა ქართულ-კანადურ სწავლებას MAPLE ARCH 21. სწავლების დახურვის ცერემონიას დაესწრო კანადის სამხედრო წვრთნისა და თანამშრომლობის დირექტორატის (DMTC) ხელმძღვანელი, უკრაინის სადესანტო ძალების მეთაური, სამხერთ-აღმოსავლეთ ევროპის მეთაური (SEEBRIG Commander), პოლონეთის თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ლიეტუვა-უკრაინა-პოლონეთის ბრიგადის მეთაური. წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) ჩატარდა მრავალეროვნული სამეთაურო-სამტაბო სწავლება - MILU 21. მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის B ასეული მხარდამჭერ და დამკვირვებელ ჯგუფებთან ერთად გაემგზავრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სწავლებაში - COMBINED RESOLVE XVI მონაწილეობის მისაღებად.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე

